P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

რთველი რაჭაში, რეკორდული ფასი და ყურძნის ჯიშების დაცული სისუფთავე

იხილეთ მე-6 გვერდზე

მოქალაქეებს დაუბეგრავი მინიმუმი 2015 წელსაც დაუბრუნ-დებათ

იხილეთ მე-3 გვერდზე

№29 (717) 20 - 26 ოქტომბერი, 2014 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

ქუთაისი „გეგის“ 163 000 ლარს თხოვს

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

ქალაქი შესრულებული, შესასრულებელი და შეუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტების პირისპირ

იხილეთ მე-3 გვერდზე

კიდევ ერთი ნაბიჯი აფხაზეთის ანექსიისკენ

რუსეთის ფედერაცია ოკუპირებულ აფხაზეთთან თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმების გაფორმებას აპირებს. შეთანხმების ტექსტის პროექტი მან წინასწარ გამოაქვეყნა. საქართველოში საპარლამენტო ოპოზიციამ კი ამის თაობაზე რეზოლუციის მიღება მოითხოვა.

რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შეთანხმების პროექტი აფხაზეთშიც კი საჯარო განხილვის საგანი გახდა. პროექტი აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ დე ფაქტო პარლამენტის დეპუტატებთან განიხილა. განხილვის შედეგად გამოჩნდა, რომ აფხაზებისთვის რუსეთის მიერ შეთავაზებული წინადადება მთლად მისაღები არ გახლავთ.

როგორც რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, დოკუმენტში არსებობს გარკვეული საკითხები, რომელსაც არ ეთანხმება და მისი ხედვები განსხვავებულია. დე ფაქტო პრეზიდენტმა სამუშაო ჯგუფის შექმნის გადაწყვეტილებაც მიიღო, რომელიც აღნიშნულ საკითხებზე რუსულ მხარესთან მოლაპარაკებებს გამართავს. გავრცელებული ინფორმაციით, შესაბამის უწყებებს შეთანხმების პროექტის ე.წ. აფხაზური ვარიანტის მომზადება აქვთ დავალებული.

რას არ ეთანხმება აფხაზეთის დე ფაქტო ხელისულება?!

რაულ ხაჯიმბას განცხადებით, ე.წ. აფხაზური მხარე არ აპირებს სრული შეიარაღებული ძალები ჩართოს შეთანხმების იმ პუნქტში, რომელიც გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფებების შექმნას გულისხმობს. მისივე თქმით, საუბარი შეიძლება იყოს ცალკეულ შენაერთებზე, რომლებიც რუს სამხედროებთან ერთად მომზადებას გაივლიან. ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა სამართალდამცავი სტრუქტურების თანამშრომლობაზე და კოორდინაციაზე და აღნიშნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სამართალდაცვითი ქმედებები ე.წ. აფხაზეთის ძალოვანი უწყებების კომპეტენციაა.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

საკრებულოს უხელფასო დეპუტატებს გაწეულ ხარჯებს სახელმწიფო აუნაზღაურებს

იხილეთ მე-2 გვერდზე

ქუთაისში საცხოვრებელი ბინების დათბუნება, შესაძლოა, თანადაფინანსებით მოხდეს

იხილეთ მე-3 გვერდზე

ინფლაცია 13.7%-მდე გაიზარდა

იხილეთ მე-3 გვერდზე

„კატასტროფა გარდაუვალია, თუ 60 დღეში არ მოხერხდა ებოლას დამარცხება“

რა არის ებოლას ვირუსი?

იხილეთ მე-7 გვერდზე

პარადოქსები საწვავის ქართულ ბაზარზე

იხილეთ მე-4 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.

წიგნები
შენ გელოდება!
ქუთაისი, საავაჯრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

საქართველოში ყოველი მეთერთმეტე ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია

იხილეთ მე-4 გვერდზე

უნდა შეიწყალონ თუ არა უვადო პატიმრები?



იხილეთ მე-5 გვერდზე

ჰოროსკოპი — გვ. 7

კროსვორდი — გვ. 7

PSnews.ge

ISSN 1987-7056

საკრებულოს უხელფასო დეპუტატებს გაწეულ ხარჯებს სახელმწიფო აუნაზღაურებს

მუნიციპალიტეტების საკრებულოების იმ დეპუტატების ხარჯებს, რომლებიც ხელფასს არ იღებენ, სახელმწიფო აანაზღაურებს. საწვავის, ტელეფონის და სამივლინებო ხარჯებისთვის ანაზღაურება 350-დან 400 ლარამდე განისაზღვრება. დეპუტატის ხარჯები იმ შემთხვევაში ანაზრაურდება, თუ საკრებულოს წევრი ხარჯის გაწევის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს.

იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა მუნიციპალიტეტების საკრებულოს თავმჯდომარეებს რეკომენდაციით მიმართა, აღნიშნული თანხები ხელფასის სახით არ გასცენ.

„ეს არ არის ხელფასი, უბრალოდ, იმ დეპუტატებისთვის, რომლებიც ხელფასს არ იღებენ, ხარჯების ანაზღაურებაა, ესეც იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა მოხდება. რამდენიმე დღის წინ, როგორც გავიგე, ხელფასის დანიშვნის მოთხოვნით ჭიათურის მუნიციპალიტეტიდან ჩემთან, ქუთაისში, მოდიოდნენ აქციის გასამართად, რაც ყოვლად მიუღებელია," — განაცხადა მეფარიშვილმა, რომელმაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნა მისცა ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელს სულხან მახათაძეს.

„ბატონო სულხან, როდესაც თქვენ არჩევნებში მონაწილეობას იღებდით, უნდა გცოდნოდათ, რომ საკრებულოს დეპუტატობა სამსახური არ არის და დეპუტატების ნაწილი ხელფასს ვერ მიიღებდა. ამიტომ ვერ მივიღებთ თქვენს მოთხოვნას. თქვენ თუ უხელფასო დეპუტატებზე გასცემთ ხელფასს, იცოდეთ, აუცილებლად მოვლენ შემოწმებაზე და ამის გამო დაჯარიმდებით, ამიტომ ყველას მოგმართავთ რეკომენდაციით, უხელფასო დეპუტატებს არახელფასი, არამედ გაწეული ხარჯების დასაფარი თანხა მისცეთ," — განაცხადა ზაზა მეფარიშვილმა იმერეთის მუნიციპალიტეტების გამგებლებსა და საკრებულოს თავმჯდომარეებთან შეხვედრისას.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

® — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

კიდევ ერთი ნაბიჯი აფხაზეთის ანექსიისკენ

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება შემჭიდროვებულ ვადებს, ხაჯიმბამ ეს სწრაფად ცვალებადი გეოპოლიტიკური ვითარებით ახსნა.

„ჩვენ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა ვარიანტებისთვის უნდა ვიყოთ მზად, რასაც მოითხოვს ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა. რუსეთისთვის, სხვადასხვა სახელმწიფოების მონაწილეობით სამოკავშირეო-ინტეგრაციული მოდელების შექმნა ძალიან მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს. ჩვენ პირდაპირ ვართ დაინტერესებული ამ პროცესის განვითარებაში და მას მხარს უნდა ვუჭერდეთ. სამოკავშირეო ურთიერთობები, რომელიც რუსეთის მიერ აფხაზეთის აღიარების შემდეგ ჩამოყალიბდა და შესაბამისი შეთანხმებების ხელმოწერა, ჩვენ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ ამ საკითხში თანმიმდევრულნი უნდა ვიყოთ," — განაცხადა ხაჯიმბამ.

რა დაინახეს აფხაზებმა?

რუსეთის მიერ შეთანხმების გამოქვეყნებას საქართველოშიც გამოეხმაურნენ. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის განცხადებით, რუსეთსა და აფხაზეთს შორის მოკავშირეობისა და ინტეგრაციის შესახებ ხელშეკრულების პროექტი მოსკოვის მიერ სოხუმის ანექსიისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. როგორც ზაქარეიშვილმა აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა, ამ პროექტით დადასტურდა, რომ რუსეთს აფხაზეთის დამოუკიდებლობის რეალურ აღიარებაზე არასდროს უფიქრია.

„ეს დოკუმენტი არის აფხაზეთის ანექსიისკენ გადადმული კიდევ ერთი ნაბიჯი. აშკარად გამოჩნდა, რომ რუსეთი არც ფიქრობდა აფხაზეთის დამოუკიდებლობის რეალურ აღიარებაზე და ფიქრობდა ანექსიაზე. სწორედ ამიტომ გამოიწვია ამ დოკუმენტის ტექსტმა სერიოზული შეშფოთება თავად აფხაზურ საზოგადოებაში. ეს დოკუმენტი მიმართულია, პირველ რიგში, სწორედ აფხაზური საზოგადოების და აფხაზური თვითმყოფადობის წინააღმდეგ," — განაცხადა **პაატა ზაქარეიშვილმა.**

მისივე შეფასებით, ამ დოკუმენტით აფხაზებმა დაინახეს ისიც, რასაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მათ წლების განმავლობაში ეუბნებოდა – რუსეთი არ არის აფხაზეთის მეგობარი. სახელმწიფო მინისტრი „საინტერესო მოვლენად" მიიჩნევს იმ ფაქტსაც, რომ აფხაზეთის დღევანდელმა ე.წ. მთავრობამ აღნიშნული დოკუმენტის გამოქვეყნება საჭიროდ ჩათვალა. მისი თქმით, აფხაზები ახლა მაინც უნდა მოეგონ გონს და საინტერესო მოვლენაა ის, რომ აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ ეს დოკუმენტი აფხაზური საზოგადოების მსჯელობის საგნად აქცია. როგორც მინისტრი მიიჩნევს, აშკარად ჩანს, რომ ეს პროექტი გამოიწვევს ვნებათაღელვას.

შეთანხმებაზე ხელისუფლების რეაგირება სუსტი და არაადეკვატური იყო?!

საერთაშორისო საკითხებში ექსპერტი გიორგი რუხაძე მიიჩნევს, რომ რუსეთსა და ოკუპირებულ აფხაზეთს შორის თანამშრომლობისა და ინტეგრაციის შესახებ შეთანხმებაზე საქართველოს ხელისუფლების რეაგირება სუსტი და არაადეკვატური იყო. როგორც რუხაძემ „პირველ პრესკლუბში" განაცხადა, ხუთი დღე საკმარისი იყო იმისთვის, რათა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საელჩოებისთვის დავალება მიეცა და დასავლურ სახელმწიფოებს ამაზე რეაგირება მოეხდინათ. მისივე თქმით, თუკი დოკუმენტი უცვლელი ფორმით იქნება მიღებული, ამით რუსეთი დაწყებულ ციკლს დაასრულებს და აფხაზეთის ანექსიას მოახდენს.

„თვითონ ამ საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ის საქართველოს პოლიტიკური სპექტრის გამაერთიანებელი უნდა გახდეს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, პარლამენტი რეზოლუციას მიიღებს და ქართული პოლიტიკური სპექტრი ამ საკითხთან დაკავშირებით ერთიანი პოზიციის წარსდგება. თუმცა მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების რეაგირება ადეკვატური არ იყო და შეიძლება ითქვას, დაგვიანებულიც კი იყო," — მიიჩნევს **გიორგი რუხაძე.**

ექსპერტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრიდან „სერიოზულ ჩავარდნად" აფასებს იმ ფაქტს, რომ 5 დღის განმავლობაში საგარეო საქმეთა სამინისტრომ ვერ შეძლო საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩვენს საელჩოებს ძალიან სერიოზულად ემუშავათ და იმ ქვეყნის ხელისუფლებამდე ეს ინფორმაცია მიეტანათ, რომ მათ შესაბამისი რეაგირება მოეხდინათ.

„ასევე, პრემიერ-მინისტრის რეაგირება იყო ძალიან სუსტი. ვერ დამისახელებთ ვერცერთ სახელმწიფოს, მსხვილ თუ წვრილ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელმაც ამ საკითხზე რაიმე რეაგირება გააკეთა. მაგალითად, ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, იმის ნაცვლად, რომ არჩილ გეგეშიძე რაღაც სემინარებზე იჯდეს და მიხეილ სააკაშვილის ჭკვიანურ თუ სულელურ კომენტარებზე კიდევ კომენტარებს აკეთებდეს, ის ამ დროს ამერიკელ მაღალჩინოსნებს კარდაკარ და დერეფან-დერეფან უნდა დასდევდეს, იმისთვის, რომ პირველ რიგში ამ საკითხზე გააკეთონ რეაგირება," — განაცხადა რუხაძემ.

ექსპერტი სტრატეგიულ შეცდომად აფასებს აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატის გაგრძელებას ამ ფონზე და მიიჩნევს, რომ ამ ეტაპზე ეს შეხვედრები უნდა შეჩერდეს, რადგან ასეთ ვითარებაში მორალურად მიუღებელია ვაჭრობაზე და ეკონომიკურ ურთიერთობებზე საუბარი.

„სტრატეგიული შეცდომა იყო აბაშიძე-კარასინის შეხვედრის ამ რაუნდის გამართვა. ჩემი აზრით, ამ ეტაპზე აბაშიძე-კარასინის ფორმატი უნდა შეჩერდეს, რადგან მორალურად მიუღებელია, როდესაც ერთი სახელმწიფო შენი ტერიტორიის ღია ანექსიას ახდენს, შენ კი ამ დროს ვაჭრობაზე და ხილ-ბოსტანზე ესაუბრო. საქართველოს ხელისუფლებამ ამ საკითხის ყირიმის საკითხთან მიბმა და დასავლელი პარტნიორების დარაზმვა უნდა მოახდინოს, რადგან ერთადერთი ბერკეტი, რაც საქართველოს გააჩნია, დასავლეთის მხარდაჭერა და ჩართულობაა. საქართველოს ხელისუფლების მხრიდან აქვე შეიძლება დასავლეთის მიერ დამატებითი სანქციების შემოღების ინიციატივა წამოვიდეს, თუმცა ეს ცოტა სასაცილო იქნება, რადგან თავად საქართველო არ შეუერთდა თავის დროზე ამ სანქციებს და მორალური უფლება, რომ საქართველომ ეს სხვას მოსთხოვოს, ალბათ, არ აქვს," — განაცხადა რუხაძემ „პირველ პრესკლუბში".

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებული კრიტიკა გამოიწვია პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის კომენტარმა, რომელიც მან აღნიშნული შეთანხმების თაობაზე გააკეთა. ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ „ინტეგრაციისა და თანამშრომლობის შესახებ" შეთანხმება, შემაშფოთებელია. პრემიერი მიიჩნევს, რომ თუ რუსეთსა და აფხაზეთს შორის ხელშეკრულება ამ ფორმით გაფორმდება, ის, პირველ რიგში იქნება საფრთხის შემცველი აფხაზებისთვის, „როგორც ჩვენთვის ძალიან ძვირფასი ერისთვის".

„არ მინდა დავიჯერო, რომ აფხაზეთის მოსახლეობა და აფხაზი ერი სწორედ ამისკენ მიისწრაფვის. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მათ მიერ წარმოებულ 25-წლიან ბრძოლას თვითგამორკვევისთვის, აღიარებისა და ე.წ. დამოუკიდებლობის მიღწევისთვის. ჩემი ინფორმაციით, აფხაზეთში არაერთგვაროვანი პოზიცია დაფიქსირდა, საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება აქვთ ამ ტექსტის მისამართით," — განაცხადა პრემიერმა.

პრემიერის კომენტარში თვითგამორკვევის ხსენებამ განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიმართვაც კი გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის ამ ერთმა სიტყვამ მრავალწლიანი სამართლებრივი ბრძოლა წყალში გადაყარა.

„გუშინ, საქართველოს მთავრობის ფორმალურმა ხელმძღვანელმა, აფხაზეთის ეთნიკური წმენდა და ოკუპაცია (ასე უწოდებდა მსოფლიო ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში მომხდარ ტრაგედიას) გამოაცხადა აფხაზეთის ბრძოლად თვითგამორკვევისათვის. ამ იურიდიული ტერმინის გამოყენებით ხდება ჩვენი მრავალწლიანი სამართლებრივი ბრძოლის მთლიანად წყალში გადაყრა.

„თვითგამორკვევა" ძალიან კონკრეტული შინაარსის საერთაშორისო სამართლებრივი ტერმინია, რომელიც გზას ხსნის აფხაზეთის „დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის" საერთაშორისო აღიარებისკენ. ამ ტერმინის გამოყენებით საქართველოს მთავრობა უმძიმეს დარტყმას აყენებს ჩვენი ქვეყნის მთლიანობას და შეურაცხყოფს საქართველოსთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას, ისევე როგორც აფხაზეთიდან დევნილ ნახევარ მილიონ ჩვენს თანამემამულესა და თითოეულ ქართველს," — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

თუმცა, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას შეფასებით, პრემიერმა მხოლოდ ის თქვა, რომ პოლიტიკა, რასაც რუსეთი აწარმოებს, თვითონ აფხაზების ინტერესებსაც ეწინააღმდეგება.

„პრემიერი რას გულისხმობს, მე გეტყვით — რაც მან თქვა არის ის, რომ ეს პოლიტიკა, რასაც რუსეთი აწარმოებს, თვითონ აფხაზების ინტერესებსაც ეწინააღმდეგება. მათ უნდათ შეინარჩუნონ საკუთარი იდენტობა, ამას შეინარჩუნებენ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფალ სივრცეში — საქართველოსთან ერთად ევროპაში. ეს არის ის მესიჯი და გზავნილი, რაც პრემიერმა გაუგზავნა აფხაზებს," — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

როგორც ჩანს, თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ შეთანხმებაზე საქართველოს ხელისუფლების მხრიდან რეაგირება მომავალში კვლავ იქნება. ეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ რეზოლუციის მიღებით შემოიფარგლება, თუ მთავრობა სხვა დიპლომატიურ ბერკეტებსაც აამოქმედებს, ამას

ქუთაისში საცხოვრებელი ბინების დათბუნება, შესაძლოა, თანადაფინანსებით მოხდეს

ფირმა „კაპაროლ ჯორჯიას“ დირექტორი დავით შენგელია, 14 ოქტომბერს ქუთაისის მერს, შოთა მურღულიას და ადგილობრივი თვითმმართველობის წევრებს შეხვდა. კომპანიის დირექტორმა ბინების დათბუნების შესახებ გააკეთა პრეზენტაცია და ქუთაისის ხელმძღვანელობას დათბუნების გერმანული გამოცდილება გაუზიარა.

შეხვედრაზე დათბუნებისა და გაგრილების იმ პრობლემებზეც ისაუბრეს, რაც საქართველოში სახლების უმეტეს ნაწილს აქვს. აღინიშნა ისიც, რომ კორპუსების დათბუნება ბინების იერსახეს ალამაზებს და ენერგო დანახარჯების დაზოგვას იწვევს.

ქუთაისის მერის განცხადებით, ქალაქში შენობების იერსახე მოუწესრიგებელია და კარგი იქნება, თუ ამ კუთხით სამუშაოები დაიწყება. მურღულიას თქმით, ქალაქის იერსახის და შენობების დათბუნების პროექტი პირველჯერზე ვერ განხორციელდება, მაგრამ, შესაძლოა, ეტაპობრივად თანადაფინანსებით მოგვარდეს. თვითმმართველობა და მოსახლეობა ერთობლივად იზრუნებს საცხოვრებელი ბინების მოწესრიგებაზე, რითაც ზამთრის სეზონზე ენერგოდანახარჯების შემცირებაც მოხდება.

ნესტან ჩაგელიშვილი
psnews.ge

ინფლაცია 13.7%-მდე გაიზარდა



წლიური ინფლაციის დონე, იანვარში არსებული 12.3%-დან, თებერვალში 13.7%-მდე გაიზარდა, რისი ძირითადი მიზეზიც სურსათზე და ტრანსპორტზე ფასების ზრდა გახდა, იტყობინება „საქსტატი“ 11 მარტს გამოქვეყნებულ მონაცემებში.

სურსათზე და უალკოჰოლო სასმელებზე ფასები 2011 წლის თებერვალში, შარშან ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 28.4%-ით გაიზარდა, ხოლო 2011 წლის იანვართან შედარებით — 6%-ით. „საქსტატის“ მონაცემებით, თებერვალში სურსათის და უალკოჰოლო სასმელების წილმა წლიურ ინფლაციაში 11.7% შეადგინა.

საწვავზე ფასები თებერვალში, წინა თვესთან შედარებით, 5.2%-ით გაიზარდა; ხოლო ფასების წლიურმა ზრდამ ალკოჰოლურ სასმელებზე და თამბაქოზე 9.6% შეადგინა.

ფასების შემცირება დაფიქსირდა საკომუნიკაციო მომსახურეობაზე. ამ სექტორში, შარშანდელ თებერვალთან შედარებით, ფასები 7%-ით შემცირდა.

civil.ge

ქუთაისი „გეგის“ 163 000 ლარს თხოვს

ქალაქი შესრულებული, შესასრულებელი და შეუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტების პირისპირ

ქუთაისის მერიასა და შპს „გეგი“-ს შორის სასამართლო დავა გრძელდება. ადგილობრივი თვითმმართველობა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას ხელშეკრულების სამ პუნქტში ედავება: ხელშეკრულების თვითნებური შეწყვეტა, სამუშაოს არშესრულება და ვადაგადაცილება. ესაა პუნქტები, რომელთა გამოც მერია კომპანიისგან ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ჯარიმის სახით 163 000 ლარის გადახდას ითხოვს. ორივე მხარე სასამართლოს გადაწყვეტილებას ელოდება.

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

შეჩერებული სამუშაოები რუსთაველის ხიდზე

როგორც მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი მალხაზ ბასილაძე აღნიშნავს, „გეგი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულებისას პრობლემები 2013 წლიდან სხვა მუნიციპალიტეტებშიც შეექმნა, რის გამოც კომპანიას გაფორმებული ხელშეკრულებები შეუწყვიტეს.

ბასილაძე იმასაც იხსენებს, რომ 2013 წელს კომპანია ქუთაისში, ტაბიძის ქუჩაზეც ასრულებდა სამუშაოებს, თუმცა ვადაგადაცილების და დარღვევების მიუხედავად, ადგილობრივმა თვითმმართველობამ მაშინ ხელშეკრულება არ შეუწყვიტა.

ტაბიძის ქუჩის კეთილმოწყობისთვის ტენდერით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიუხედავად, კომპანიას არ გასჭირვებია 2014 წელს ქუთაისში, რუსთაველის ხიდის რეაბილიტაციისთვის გამოცხადებულ 197000-ლარიან ტენდერში გამარჯვება. როგორც ბასილაძე ამბობს, ელექტრონულ ტენდერში „გეგი“-ს გამარჯვება იმ ფაქტმაც განაპირობა, რომ მას კონკურენტი არ ჰყავდა და სატენდერო წინადადებას 10 000 ლარით ნაკლებად, 187 000 ლარად ასრულებდა.

„კომპანიამ თითქმის ყველა პუნქტი დაარღვია. ვხედავდი, სამუშაოებს ვერ ასრულებდნენ, ამიტომ პროექტის ავტორის ნებართვით, შემსრულებელს რჩევა მივეცი, რადგან მინდოდა, სამუშაოები ბოლომდე მიეყვანა, მოგვიანებით კომპანიის მფლობელი იურა თავაძე აქეთ შემომედავა, იმ მიზეზით, რომ თურმე სამსახურის უფროსს რჩევის მიცემა არ შეეძლო,“ —აღნიშნავს ბასილაძე.

სასამართლოს მიერ მერიის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში კომპანიას ყადაღა დაედება, რის შემდეგაც დაიწყება ზრუნვა თანხის ამოსაღებად. თუმცა, არაა გამორიცხული, კომპანიის მფლობელმა გააუქმოს შპს „გეგი“ და შეცვალოს საიდენტიფიკაციო კოდიც (თუ გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი ფაქტი ქუთაისში სინამდვილეში წლების წინაც დაფიქსირდა), ამ შემთხვევაში ადგილობრივ ხელისუფლებას თანხის დაბრუნების ბერკეტი აღარ ექნება, რის გამოც, ბიუჯეტი 163 000 ლარის დანაკარგს მიიღებს.

ახალი სახელით დაფუძნებულ კომპანიას კი ერთადერთი, რა ზარალიც მიადგება, ისაა, რომ გამოცდილების არქონის გამო, ტენდერში გამარჯვების შანსები შეუმცირდება.

რატომ ვერ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და გააგრძელებს თუ არა კომპანია რუსთაველის ხიდზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, გაზეთი „P.S.“ ინფორმაციის მოპოვებას უშუალოდ შპს „გეგი“-ს მფლობელისგან შეეცადა, თუმცა, არაერთი მცდელობის მიუხედავად იურა თავაძესთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

რაც შეეხება თავად რუსთაველის ხიდს, მიმდინარე პროცესების გამო, ხიდზე კეთილმოწყობითი სამუშაოები შეჩერებულია. გაურკვეველია, როდის ან ვინ დაასრულებს ხიდის კეთილმოწყობას.

რუსთაველის და ბალახვნის ხიდების რეაბილიტაცია იმ 56 სატენდერო წინადადებაში შედის, რომელსაც მერიის კეთილმოწყობის სამსახური ადგილობრივი ბიუჯეტიდან და რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 11 926 000 ლარით ახორციელებს.

როგორც მერიაში აღნიშნავენ, პროექტებს შორის ყველაზე მასშტაბური ხარებავას ქუჩაზე ღვარსადენის მოწყობითი სამუშაოებია.

რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხის ფარგლებში 2014 წელს ქუთაისში 66 ქუჩის გზის საფარის მოწესრიგება მოხდა.

თავდაპირველად, გათვალისწინებული ქუჩების გარდა, მიმდინარე წელს ღვარსადენის (521 000) და გზების (460 000) რეაბილიტაციაზე განხორციელებული 972 000 ლარის დანაზოგით, სარეაბილიტაციო სამუშაოები დამატებით 7 ქუჩაზე მიმდინარეობს.

ბასილაძე აღნიშნავს, რომ სწორედ ამ ქუჩების მოსაწყობად გვიან გამოცხადებულ ტენდერებს გულისხმობენ საკრებულოს ოპოზიციონერი დეპუტატები, როცა ხელისუფლებას ტენდერების დაგვიანებით გამოცხადებასა და ბიუჯეტის შეუსრულებლობაში ადანაშაულებენ.

მალხაზ ბასილაძე, ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობის, ტრანსპორტისა და დასუფთავების სამსახურის უფროსი: „ქალაქში გზის საფარის მოსაწყობად ყველა ტენდერი გამოცხადებულია და სამუშაოებიც მიმდინარეობს. რამდენიმე ქუჩაზე, სადაც გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია აწარმოებს სამუშაოებს, შეფერხდა გზის მოწყობა. რაც შეეხება ბრალდებას ვერმოსწრებასთან დაკავშირებით, სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ყველა სამუშაო წლის ბოლომდე დასრულდება, გზის დაგების ხარისხი, ზამთარსა და წვიმაზე კი არა, ასფალტის ტემპერატურაზეა დამოკიდებული. ოპონენტებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, წვიმასა და თოვლში გზას არავინ დააგებს.

2014 წელს სამი გარდამავალი პროექტი გვაქვს, ესენია: თამარ მეფის ქუჩის სრული მოწესრიგება, რისთვისაც 1 300 000 ლარია გამოყოფილი და ობიექტი მომავალი წლის გაზაფხულზე ჩაბარდება. ასევე მოხდება ორი საბავშვო ბაღის აშენება. ავტოქარხანაში საბავშვო ბაღის მშენებლობა უკვე დავიწყეთ, მალე გამოცხადდება ტენდერი ავანგარდში ასაშენებელ ბაღზეც. რაც შეეხება გელათის ქუჩას, იქ ამჟამად „კობრა“ ახორციელებს სამუშაოებს. „შოთას წყაროს“ მიმდებარე ქუჩებზეც მოხდება წყლის გაყვანა, სადაც წყალგაყვანილობა აქამდე არასდროს ყოფილა. ვინაიდან გელათის ქუჩას შემოვლითი გზა არ აქვს, ტურისტულ სეზონზე ნაწილობრივ შევაჩერეთ გზის შეკეთების სამუშაოები, ტურისტებს გადაადგილება რომ არ შეფერხებოდათ. ტურისტების ნაკადის შემცირებისთანავე განახლდა. მომავალი წლის გაზაფხულზე გელათის ქუჩის კეთილმოწყობა დასრულდება“.

რეგიონული განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 56 000 ლარით მიმდინარე წლის ზაფხულში დასრულდა ხარაზოვის ბაღში ე.წ. ნიღბების თეატრის შენობის რეკონსტრუქცია. თუმცა, თეატრი ექსპლოატაციაში ამ დრომდე არ შესულა. როგორც მერიაში აცხადებენ, შენობა ნიღბების თეატრის საკუთრება არ არის. გამომდინარე აქედან, ქუთაისში მოქმედი რამდენიმე დასი, რომელთაც შენობა არ აქვთ, შეძლებენ ფართით სარგებლობას. ქალაქის საკუთრებაში არსებული შენობის სახელოვნებო აიპისთვის გადაცემისა და სახელის შეცვლის მოთხოვნით ქუთაისის ადგილობრივი ხელისუფლება საკრებულოს უახლოეს სხდომაზე მიმართავს, დამტკიცების შემთხვევაში, შესაძლოა, თეატრს ქალაქის კულტურული დაწესებულების სახელი მიენიჭოს.

ნესტან ჩაგელიშვილი

მოქალაქეებს დაუბეგრავი მინიმუმი 2015 წელსაც დაუბრუნდებათ

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, დაუბეგრავი მინიმუმის თანხა უკან 470 ათასზე მეტ მოქალაქეს დაუბრუნდა და თანხის ოდენობა, ჯამში, 31 მლნ ლარზე მეტს შეადგენს. როგორც უწყების პრესსამსახურში აცხადებენ, დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება 2015 წელსაც განხორციელდება.

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით, განსაზღვრულია ფიზიკური პირის მიერ ხელფასის სახით მიღებული დასაბეგრი შემოსავლიდან დაუბეგრავი მინიმუმის გამოქვითვის და თანხის დაბრუნების წესი (მუხლი 392).

2015 წელსაც დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება განხორციელდება ზემოაღნიშნული რეგულაციებით განსაზღვრული წესითა და პირობებით. ამასთან, ისევე როგორც 2014 წელს, 2015 წელსაც ბიუჯეტის შემოსულობების დაგეგმვა ხორციელდება დაუბეგრავი მინიმუმის სახით დასაბრუნებელი თანხის გამოკლებით, როგორც იყო მიმდინარე წელს: თუ პირის მიერ 2014 წელს მიღებული დასაბეგრი ხელფასი არ აღემატება 6000 ლარს, უფლება ექნება 2015 წელს გამოქვითოს დაუბეგრავი მინიმუმი 1800 ლარი და მოითხოვოს აღნიშნულზე გადახდილი შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის თანხის დაბრუნება. კერძოდ, თუ პირის მიერ 2014 წელს ხელფასის სახით მიღებული შემოსავალი 1800-დან 6000 ლარია, მოცემულ შემთხვევაში, უფლება ექნება დაიბრუნოს 360 ლარი, ხოლო თუ 1800 ლარამდეა, მოცემულ შემთხვევაში, დაბრუნებას ექვემდებარება კონკრეტული თანხის 20 პროცენტი. ისე როგორც მიმდინარე წელს, 2015 წელსაც მოსახლეობას დამატებით ეცნობება როდიდან ექნებათ საშუალება შეავსონ ელექტრონული დეკლარაცია შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე. პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია მისი პირადი აღრიცხვის ბარათზე აისახება ავტომატურად, დეკლარაციის რეგისტრაციის დღე, რის შემდეგაც, თანხის დაბრუნების მიზნით, 3 თვის ვადაში საგადასახადო ორგანო სახაზინო სამსახურს უგზავნის შესაბამის საგადახდო დავალებას, რომელიც სრულდება 10 სამუშაო დღეში,“ — აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში.

cr.ge

საქართველოში ყოველი მეთერთმეტე ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია

ოჯახში ძალადობა მსოფლიოში ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალთა მიმართ ძალადობა, რადგან ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ყველაზე ხშირად სწორედ ქალია. შესაბამისად, ილახება მათი უფლებები, სოციალური ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ეკონომიკური, თუ სოციალური კეთილდღეობა საფრთხის ქვეშ დგება.

UNICEF-ის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ოჯახში ძალადობის კომპლექსურობას. კვლევის შედეგების მიხედვით, ოჯახში ძალადობა ციკლური პროცესია, რაც თაობებს შორის ძალადობის ფაქტებსაც აძლიერებს.

საერთაშორისო დონეზე ოჯახში ძალადობის თემა განსაკუთრებით აქტუალური მე-20 საუკუნის ბოლოდან გახდა.

ამ პერიოდში, ოჯახში ძალადობის პრობლემამ ოჯახური სფეროდან გადაინაცვლა საზოგადოებრივი პრობლემის დონეზე: თუ აქამდე

ითვლებოდა, რომ ოჯახში ძალადობა, მხოლოდ ამა თუ იმ კონკრეტული ოჯახის პრობლემაა, ახლა იგი მიიჩნევა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემად, რომლის გადაწყვეტაც სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა მოხდეს.

კულტურაში, სადაც მამაკაცს წამყვანი როლი უჭირავს, ხშირია ქალთა როლის დაკნინებისა და მათი დისკრიმინაციის ფაქტები. საქართველოში ჩატარებული ბოლოდროინდელი კვლევები გვიჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობა კულტურაში ღრმად არის ფესვგადგმული. შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკის მიხედვით, 2007-2011 წლებში დაფიქსირდა ძალადობის 1025 შემთხვევა. სტატისტიკის დეპარტამენტის

მონაცემების მიხედვით, 2013 წელს დაფიქსირდა 166 მსხვერპლი ქალი.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მონაცემები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს, ვინაიდან სამთავრობო უწყებებისთვის მიმართვიანობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია „ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში" მიხედვით, ყოველი მეთერთმეტე დაოჯახებული ქალი არის ოჯახში ძალადობის

მსხვერპლი. რესპონდენტთაგან 34.7% ყოფილა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი, ხოლო 35.9%-ის მიხედვით, მათი მეუღლეები აკონტროლებენ მათ საქმიანობას ამავე კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 78% თვლის, რომ ოჯახში ძალადობა ოჯახის პრობლემად უნდა დარჩეს და ოჯახის ფარგლებშივე მოგვარდეს. შესაბამისად, რესპონდენტების მხოლოდ 1,2%-ს მიუმართავს სახელმწიფო უწყებებისთვის (პოლიცია, საავადმყოფო, სასამართლო) ძალადობის შემთხვევაში.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი არის ორგანიზაცია, რომელიც მრავალი წელია მუშაობს ოჯახში ძალადობის საკითხებზე. ოჯახური ძალადობის სტატისტიკაზე, მომართვიანობის კონკრეტულ მაგალითებზე, საია-ს მიერ გაწეულ სხვადასხვა სახის იურიდიულ დახმარებებსა და კანონში შესატან ცვლილებებზე ჩვენ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარეს, **გიორგი ჭიქაბერიძეს** ვესაუბრეთ.

გიორგი ჭიქაბერიძე

— ჩვენს ორგანიზაციას ამ მიმართულებით აქტიური მუშაობის არაერთწლიანი გამოცდილება აქვს, საია-ს ქუთაისის ფილიალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს სთავაზობს უფასო იურიდიულ კონსულტაციასა და სასამართლო წარმომადგენლობას. ჩვენი ორგანიზაციის მხრიდან ოჯახში ძალადობის საკითხებზე გაიცა ასობით პირადი და სატელეფონო კონსულტაცია, მომზადდა ათობით იურიდიული დოკუმენტი და რამდენიმე მოქალაქეს გაეწია სასამართლო წარმომადგენლობა. მაგ. საია-ს ქუთაისის ფილიალის ადვოკატი ქუთაისის საქალაქო სასამართლოში წარმოადგენდა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის ა.ღ.-ს ინტერესებს, კერძოდ, 2014 წლის 2 ივლისს ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა ოჯახური ძალადობის მსხვერპლის, ა.ღ.-ის განცხადება დამცავი ორდერის გამოცემასთან დაკავშირებით. მის ინტერესებს სასამართლოში საია-ს ქუთაისის ფილიალის ადვოკატი იცავდა. სასამართლო პროცესზე დადასტურდა ა.ღ.-ს მიმართ, ყოფილი მეუღლის ზ.წ.-ს მხრიდან ძალადობის ფაქტი. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მოძალადის მიმართ დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ და სასამართლოს გადაწყვეტილებით ზ.წ.-ს აეკრძალა მსხვერპლის მიმართ სიტყვიერი, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის მიყენება, საცხოვრებელ სახლთან მიახლოება და სატელეფონო კონტაქტი. დამცავი ორდერი გამოცემულ იქნა 2 თვის ვადით.

— რამდენად ზუსტია სტატისტიკა ამ მხრივ საქართველოში და რამდენად იცავს მსხვერპლს კანონი?

— ოჯახური ძალადობა ადამიანის უფლებების დარღვევაა. იგი გლობალური სენია. ამ სენისაგან არცერთი საზოგადოება არ არის დაზღვეული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ამ პრობლემის გარშემო საუბარი მასობრივ ხასიათს იღებს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი აღნიშნულ პრობლემას ვერ აცნობიერებს და არაკი აღიქვამს სოციალურ პრობლემად. საქართველოს ხელისუფლებამ ოჯახში ძალადობის პრობლემა აღიარა, რაც გამოიხატა 2006 წლის 25 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ კანონის „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა, მოსახლეობას მიეწოდოს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს იცავს კანონი.

— ძალადობის რა სახეები გვხვდება უფრო გავრცელებული ფორმით?

— ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით, ან იძულებით. ოჯახში ძალადობა შეიძლება გამოიხატოს ფიზიკურ ძალადობაში — ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს; ფსიქოლოგიურ ძალადობაში — შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას; იძულებაში — ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

გაგრძელება **მე-5 გვერდზე**

პარადოქსები საწვავის ქართულ ბაზარზე

„მეზობელ სომხეთში საწვავის ფასი, დაახლოებით, ჩვენს დონეზეა, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტირების ხარჯი იქ გაცილებით მაღალია."

თუ საწვავის ქართულ ბაზარს კრიტიკული თვალით გადავხედავთ და სიტუაციას ობიექტურად შევაფასებთ, უამრავ პარადოქსს წავაწყდებით: ზაფხულიდან მოყოლებული, მსოფლიო ბაზრებზე ნავთობის ფასი მცირდება, რაც საშუალებას იძლევა, რომ „შავი ოქროს" გაიაფება საქართველოზეც აისახოს. 2014 წლის 15 ოქტომბრის ვაჭრობის შედეგად, ლონდონისა და ნიუ-იორკის სანავთობო ბირჟებზე 1 ბარელი ნავთობის ფასი კიდევ ერთხელ შემცირდა და ნიუ-იორკში 81,78 დოლარი, ხოლო ლონდონში — 83,35 დოლარი შეადგინა. PLATT'S-ის მიხედვით კი — 1 ტონა ბენზინის ფასი 805 დოლარი გახდა, შეგახსენებთ: წელს, ივლისში ბენზინის საერთაშორისო ფასი 1 036 დოლარი იყო. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში საწვავის ღირებულებას სწორედ „პლატსის" ფასი განსაზღვრავს, გაიაფება სავსებით ლოგიკური ნაბიჯი იქნებოდა, მაგრამ სექტემბრის ბოლოს მსხვილმა კომპანიებმა პროდუქციის ფასი უმნიშვნელოდ — სულ რაღაც 3-6 თეთრით შეამცირეს.

არანაკლებ საკამათოა საკითხი, მოგების რა მარჯაზე მუშაობენ ნავთობკომპანიები. ამ საკითხზე მსჯელობა რთულია იმიტომ, რომ ყველა კომპანიის მოგება განსხვავებულია. საქართველოში შემოსული ნავთობის დიდი წილი აზერბაიჯანიდან შემოდის, თუმცა არის კომპანიები, რომლებიც რუსულ, ან ევროპულ საწვავს იყენებენ. ბუნებრივია, მათთვის მოგების მარჯა ნაკლებია, თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს მარჯა 30-50 თეთრის ფარგლებში მერყეობს. ისინი გამოთქვამენ ეჭვს, რომ ნავთობის ქართულ ბაზარზე კარტელურ გარიგებებს აქვს ადგილი, რაც კონკურენციის შესახებ კანონის მე-7 მუხლის დარღვევაა.

ნავთობის ბიზნესში არსებულ კარტელურ გარიგებებთან დაკავშირებით მთავრობაში აცხადებენ, რომ ეს საკითხი კონკურენციის სააგენტომ უნდა შეისწავლოს. ეკონომიკის მინისტრის მოადგილის, ნათია მიქელაძის თქმით, კონკურენციის სააგენტო საწვავს ვერ გააიაფებს, მან უნდა შეისწავლოს ეს ბაზარი და წარმოადგინოს ფაქტები, რომ კომპანიებს შორის მართლაც არის კარტელური გარიგებები.

„სიტუაციას, რომელიც დღეს ნავთობპროდუქტების ბაზარზეა შექმნილი, კარტელური გარიგების ყველა ნიშანი და მახასიათებელი აქვს" — ამბობს „ჯორჯიან ბიზნეს ინსაიტის" გენერალური დირექტორი ირაკლი ლექვინაძე.

ირაკლი ლექვინაძე: „მსოფლიო ბაზარზე ბოლო ექვსი თვის განმავლობაში საწვავის ფასებზე 25%-იანი კლება აღინიშნა, საქართველოში კი ამ მასშტაბის კლება არ ყოფილა, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ქვეყანაში კარტელური გარიგების ყველა ნიშანი გვაქვს. ამ ბაზარზე მცირე რაოდენობით კომპანია საქმიანობს და მათ შორის კონცენტრაციის ხარისხიც მაღალია, ეს მათ საშუალებას აძლევს, რომ შეთანხმებულად იმოქმედონ და იმაზე მეტი მოგების მარჯა მიიღონ, ვიდრე ეს ნორმალური, ჯანსაღი კონკურენციის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. საქართველოში საწვავის ფასი არ იკლებს, დასავლეთში კი — გაიაფების პროცესი უკვე დიდი ხნის დაწყებულია, ეს მიუთითებს იმაზე, რომ კონკურენციის ხარისხი მინიმალურ დონეზეა და საქმე გვაქვს პრობლემასთან, რომელსაც კარტელურ გარიგებას ეძახიან.

როგორც ვიცი, ერთ-ერთი პირველი სფერო, რომელსაც კონკურენციის სააგენტო შეისწავლის, სწორედ ნავთობის ბიზნესი იქნება, იქ უკვე შესულია განაცხადები ამ ბაზრის კვლევის მოთხოვნით. რა თქმა უნდა, აუცილებელია ამ ბაზრის კონტროლი, თუნდაც იმიტომ, რომ ნავთობკომპანიები საკმაოდ მაღალ მარჯაზე მუშაობენ, ჩემი აზრით, ეს ციფრი სადღაც 30-40 თეთრია. ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ეს მარჯა შეიძლება უფრო დაბალი ყოფილიყო. როგორ უნდა გამოსწორდეს სიტუაცია? — ამ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კონკურენციის სააგენტოს დაინტერესება ამ საკითხით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვცხოვრობთ და ფასი ვიღაცის დირექტივით ვერ შემცირდება, ეს არ იქნება სწორი მიდგომა. ამიტომ, პრობლემა უნდა გამოასწოროს იმან, ვინც მას ხედავს, ამ შემთხვევაში ეს კონკურენციის სააგენტოა, რომელმაც საფუძვლიანი კვლევა უნდა ჩაატაროს. მართალია, ბოლო ხანებში საწვავის ქართული ბაზარი გაიხსნა და წვრილი მოთამაშეებიც გამოჩნდნენ, მაგრამ ამ ბაზარზე სურათს ისევ 5 კომპანია ქმნის, მათი სახელები ყველამ კარგად ვიცით: „რომპეტროლი", „ვისოლი", „სოკარი", „გალფი" და „ლუკოილი"...

რამაზ გერლიანი, ეკონომიკური პოლიტიკის ექსპერტთა ცენტრის პრეზიდენტი: „გავიხსენოთ ის დრო, როდესაც 1 ბარელი ნედლი ნავთობის ფასი 140 დოლარი იყო, დღეს ეს ფასი 81 დოლარიდან 85 დოლარამდე მერყეობს — გაჩნია საწვავის ხარისხს. რაც შეეხება მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებს, ლარში რომ გადმოვიყვანოთ, დასავლეთში ბენზინის ფასი საშუალოდ 1,45 ლარის ექვივალენტია, ხოლო დიზელისა — 1,40 თეთრამდე. განსხვავება ხარისხის მიხედვითაა — ასეთია მსოფლიო ფასები უკვე დამუშავებულ ნავთობზე. ჩვენთან კი, სხვადასხვა ტიპის საწვავის ფასი იწყება 2,15 თეთრიდან და 2,35 თეთრამდე ადის. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს არ შეუძლია დირექტივა გასცეს და მიუთითოს, რომ ფასი დასწიონ. თუმცა6 ეს სხვაობა თვალსაჩინოა. მივდივართ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ ამ სფეროში კონკურენცია არის ძალიან დაბალი და ოლიგოპოლიურ-მონოპოლიური ტიპის წარმონაქმნთან გვაქვს საქმე, სადაც ფასები ხელოვნურად რეგულირდება.

თუ შევადარებთ, ევროპული ტიპის საწვავის ხარისხი ჩვენთან შედარებით მაღალია, ხოლო ფასი — დაბალი, თანაც, იქ ფასი და ხარისხი ერთმანეთთან შესაბამისობაშია, საქართველოში კი — ფასი მეტია, ხოლო ხარისხი — ნაკლები. ამას ექსპერტული შეფასებები სულაც არ სჭირდება, ნებისმიერ მძღოლს და ავტომანქანის მფლობელს რომ ჰკითხოთ, დაგიდასტურებთ, რომ ეს მართალია. ის ხარისხიც კი, რომელსაც უმაღლესს უწოდებენ, ხშირად ვერ აკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს. ქართულ ბაზარზე აზერბაიჯანული საწვავი დომინირებს, რომელიც უფრო დაბალი ხარისხისაა, ვიდრე ევროპული. ასე რომ, დიდი განსხვავება არ არის თქვენი მანქანის ავზში ორლარიან ბენზინს ჩაასხამთ, თუ 2,30-ლარიანს. აქედან გამომდინარე, ფასები, რომელიც ჩვენთანაა, სრულიად არაადეკვატური და ალოგიკურია. რაც შეეხება მოგების მარჯას, ის სულ მცირე, 30-50 თეთრი მაინც იქნება, თუმცა ამის თაობაზე ნავთობკომპანიებიდან ზუსტი ინფორმაციის გამოთხოვა საკმაოდ რთულია, როგორც ჩანს, ეს მათი საიდუმლოა."

— საერთოდ, საწვავის სიძვირეს საქართველოში „პლატსის" ფასით ხსნიან, თუმცა აშკარაა, რომ ახლა ეს ფასიც შემცირებულია...

— „პლატცი" მხოლოდ და მხოლოდ საბაბია და როცა ნედლი ნავთობის ფასი მთელ მსოფლიოში მცირდება, ამ ტენდენციას ჩვენმა ქვეყანამაც უნდა აუწყოს ფეხი. თუმცა, აშკარაა, რომ ნავთობკომპანიები შეთანხმებულად მოქმედებენ, ქვეყანაში მონოპოლიური სისტემა შეიქმნა და სახელმწიფო მდგომარეობის გამოსწორებაზე ან ნაკლებად ზრუნავს, ან ვერ მიაგნო ხერხს, თუ როგორ შეიძლება მოგვარდეს ეს პრობლემა. კიდევ ერთი პარადოქსი: მეზობელ სომხეთში საწვავის ფასი, დაახლოებით, ჩვენს დონეზეა, მიუხედავად იმისა, რომ ტრანსპორტირების ხარჯი იქ გაცილებით მაღალია, რამდენიმე საზღვრის გადალახვა უხდებათ, რომ საწვავი სომხეთის ტერიტორიაზე შეიტანონ.

ხათუნა ჩიგოგიძე
bpn.ge

უნდა შეიწყალონ თუ არა უვადო პატიმრები?

სახალხო დამცველმა ინიციატივით მიმართა პარლამენტს, რომ უვადო პატიმრობამისჯილთა საქმეების გადახედვა, 20-ის ნაცვლად, 15-წლიანი სასჯელის მოხდის შემდეგ მოხდეს და სწორედ ამ ვადის გასვლის შემდეგ გახდეს შესაძლებელი მათი გათავისუფლება.

სახალხო დამცველის მოადგილე **პაატა ბელთაძის** თქმით, ეს არის საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი. შესაბამისად, ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპებიდან გამომდინარე, მისი საქართველოში დამკვიდრება ძალიან მნიშვნელოვანია. შეწყალების კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ელენე თევდორაძე კი უვადო პატიმრობაში მყოფი პირების შეწყალების წინააღმდეგია. თევდორაძის თქმით, არ შეიძლება, ჰუმანური აქტი ისეთი დანაშაულებისთვის გასამართლებულებს შეეხოს, როგორიც მკვლელობა და დიდი ოდენობით ნარკოტიკების რეალიზაციაა. „ჩვენთან უვადო პატიმრობა ვრცელდება მკვლელობასა და დიდი ოდენობით ნარკოტიკების გასაღებაზე, ვერ ვიტყვი, რომ ჰუმანური აქტი მკვლელის მიმართ აუცილებელია," — განაცხადა ელენე თევდორაძემ.

მისივე განმარტებით, დაზარალებული ოჯახების პოზიცია უნდა გაითვალისწინოს როგორც შეწყალების კომისიამ, ასევე პრეზიდენტმა. „პრეზიდენთან კონსულტაციას უმჯობესია, შეწყალების კომისიამ კონსულტაცია გაიაროს იმ დაზარალებულ ადამიანებთან, რომლებმაც დაკარგეს თავისი ახლობლები, თავიანთი ოჯახის წევრები. მე, ზოგადად, მკვლელობის ბრალდებით გასამართლებული პირის შეწყალებასთან დაკავშირებით, იყო ეს უვადო თუ ვადიანი პატიმრობა, უარყოფითი პოზიცია მქონდა ხოლმე, რადგან ჩემთან ძალიან ხშირად მოდიოდნენ დაზარალებულთა ოჯახების წევრები და ტირილით მეხვეწებოდნენ, რომ შეწყალება არ შეხებოდათ ასეთ ადამიანებს — დაზარალებულის პოზიცია არ იყო ჩემთვის უმნიშვნელო. არ ვიცი, რა ჩანაწერია ახალ საპროცესო კოდექსში, მაგრამ შეწყალების კომისიის თავმჯდომარედ ჩემი მუშაობის დროს არსებობდა 25-წლიანი ვადა — მხოლოდ მისი გასვლის შემდეგაც შეიძლებოდა უვადო პატიმრობაში მყოფი პირების შეწყალების საკითხის განხილვა. მე ამ ჩანაწერის მომხრე ვარ," — აღნიშნა **ელენე თევდორაძემ.**

შეწყალების კომისიის თავმჯდომარე **ზვიად ქორიძე** აცხადებს, რომ შეწყალების კომისია და საქართველოს პრეზიდენტი უვადო მსჯავრდებულთა მიმართ ჰუმანურ დამოკიდებულებაზე იმსჯელებენ. მისი თქმით, უახლოეს დღეებში, პრეზიდენტის ინიციატივით, შედგება შეხვედრა, სადაც აღნიშნულ თემას განიხილავენ. „უახლოეს დღეებში, შევხვდებით პრეზიდენტს მისივე სურვილით. არის რამდენიმე საკითხი, რომელზეც ჩამოსაყალიბებელია პოზიცია. მათ შორის ერთ-ერთი სწორედ უვადო მსჯავრდებულთა თემაა. ჩვენ ბევრი უვადო პატიმარი გვყავს, მათ შორის სამი ქალი. გვინდა მეტი ჰუმანიზმი გამოვიჩინოთ, თუმცა დარწმუნებული ვარ, თუ არ იქნება მედიისა და სამოქალაქო სექტორის ჩართულობა, გაგვიჭირდება ამის საზოგადოებისთვის სწორად მიწოდება," — განაცხადა ზვიად ქორიძემ.

უნდა შეეხოს თუ არა შეწყალება ისეთ პირს, რომელსაც უვადო პატიმრობა აქვს მისჯილი? — გაზეთმ *P.S.*-მა რამდენიმე ადამიანი გამოკითხა. გამოკითხულთა აზრი ასეთია:

გიორგი ინასარიძე, სტუდენტი: „უვადო პატიმრობა სასჯელის უმაღლესი ზომაა, ესე იგი, იმ ადამიანმა რაღაც ძალიან სერიოზული დანაშაული ჩაიდინა და შესაბამისადაც უნდა დაისაჯოს. მიმაჩნია, რომ ეს კანონი არ უნდა შეიცვალოს, ან 15 წელზე მეტი მაინც უნდა იყოს, სხვანაირად უსამართლობა იქნება."

მირიან ბერულავა, ტელეოპერატორი: „არ შეიძლება ისეთი კატეგორიის ადამიანების გარეთ გამოშვება, რომლებსაც ბრალი ედებათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში. ჰუმანურობა კარგია და ყველას უნდა მიეცეს პატიების უფლება, თუმცა ეს უნდა მოხდეს 25 წლის შემდეგ, რაც მთავარია, გამოშვებამდე უნდა შემოწმდეს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და აქ იგულისხმება მისი ფსიქიკური მდგომარეობა, ხოლო გარეთ გასვლის შემდეგ უნდა აუყვანონ ამ კატეგორიის პატიმრებს ფსიქოლოგი."

თამუნა ახობაძე, ჟურნალისტი: „გააჩნია ბრალდებას, მე, პირადად, ასეთი ჰუმანურობისგან თავს შევიკავებდი იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენენ საზოგადოებისთვის."

თეონა უგულავა: „გააჩნია სასჯელს, თუ მძიმეა დანაშაული, მის ჩამდენზე არ შიძლება შეღავათები გავრცელდეს. ვფიქრობ, ესეთი შემწყნარებლური კანონი უნდა იყოს ასაკოვანი ხალხის მიმართ."

ბექა ქავთარაძე, რეჟისორი, პუბლიცისტი: „ვფიქრობ, რომ სამუდამო პატიმრობიდან 15 წელზე ჩამოსვლა ცოტაა, კი, ჰუმანურობა აუცილებელია, მაგრამ საშიშ რეციდივისტებთან მიმართებაში რამე სხვა არის მოსაფიქრებელი, მათი შეწყალება, ვითომ არაფერი ჩაუდენიათ, და გარეთ გამოშვება რამდენად პროდუქტიული იქნება საზოგადოებისთვის."

მაია კოპალიანი, ეკონომისტი: „თუ მსჯავრდებულს ძალიან მძიმე დანაშაულისთვის აქვს სამუდამო პატიმრობა მისჯილი და მისთვის ზედმეტი ფუფუნება იქნება 15-წლიანი სასჯელი. გააჩნია დანაშაულის სიმძიმეს, ეს საკითხი არ არის ცალსახად გასარჩევი, სერიოზულ გადახედვას საჭიროებს. უსამართლობა იქნება პიროვნებას, რომელსაც 3 ადამიანი ჰყავს მოკლული და რომელსაც ქურდობა ან რამე შედარებით მსუბუქი დანაშაული აქვს ჩადენილი, ორივეს 15 წელი მიუსაჯონ."

მალხაზ წიფიანი: „ვფიქრობ, რომ სამუდამო პატიმრობა უნდა შეიცვალოს, ეს ძალიან ჰუმანური იქნება, თუმცა სამუდამო პატიმრობის 15-წლიანი სასჯელით ჩანაცვლება არ მიმაჩნია სწორად. 15 წელი ძალიან ცოტაა. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ ადამიანებზე, რომლებიც კვლავაც წარმოადგენენ საზოგადოებისთვის საფრთხეს, უნდა გავრცელდეს სამუდამო, ხოლო შედარებით ლოიალური უნდა იყოს კანონი ასაკოვანი ადამიანების და ისეთ დამნაშავეებთან მიმართებაში, ვისაც კანონდარღვევის პირველი შემთხვევა აქვთ."

თეონა კვირიკაშვილი: „თუ ადამიანს სამუდამო აქვს მისჯილი, ესე იგი შესაბამისი დანაშაულს გამო აგებს პასუხს. სახელმწიფო არ უნდა იყოს შემწყალებელი ისეთი დანაშაულის ჩამდენის მიმართ, როგორიცაა: გაუპატიურება, მკვლელობა, სადისტური ქმედება და ა.შ. რაც შეეხება 15 წელს, სამუდამო მისჯილისთვის ეს ზედმეტი ფუფუნება იქნება. თუ კანონის შეცვლაზეა საუბარი, სასჯელი 15 წელზე მეტი უნდა იყოს."

ჟანა ჯანელიძე

საქართველოში ყოველი მეთერთმეტე ქალი ოჯახში ძალადობის მსხვერპლია

მე-4 გვერდიდან

სექსუალურ ძალადობაში — სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ.

ეკონომიკურ ძალადობაში — ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას.

— რა შემთხვევაში გამოიწერება მოძალადის მიმართ შემაკავებელი ორდერი და რამდენად არის ის გარანტია მსხვერპლის უსაფრთხოებისა მომავალში?

— ოჯახში ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს მიერ მსხვერპლის დაცვისა და მოძალადის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, შესაძლებელია, გამოცემულ იქნეს შემაკავებელი ან დამცავი ორდერი. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები. შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს. მოძალადის მიერ შემაკავებელი/დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175/2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა — გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 7 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს ერთ თვემდე ვადით. დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა — გამოიწვევს ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით ან გამასწორებელ სამუშაოებს 3 თვემდე ვადით.

— რა შემთხვევებში შეიძლება გამოიწვიოს ძალადობის ფაქტებმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?

— ოჯახში ძალადობის ფაქტმა შეიძლება გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126/1 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად: ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა, ასეთი ქმედება ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ოთხმოციდან ასორმოცდაათ საათამდე. იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ ორი ან მეტი პირის მიმართ პირთა ჯგუფის მიერ, არაერთგზის ისჯება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, ვადით ასიდან ორას საათამდე, თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე.

— არსებობს თუ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული თავშესაფრები, სადაც მსხვერპლი თავს დაცულად იგრძნობს?

— ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობისას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში უფლებამოსილი პირების მიერ თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები უზრუნველყოფენ მსხვერპლის იქ გადაყვანას. თავშესაფარში მსხვერპლის მოთავსება ხდება 3 თვემდე ვადით. საჭიროების შემთხვევაში ეს ვადა გაგრძელდება თავშესაფრის წესდებით (შინაგანაწესით) დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლს არ სურს ზემოაღნიშნულ პერიოდზე მეტი ხნით იქ დარჩენა. თავშესაფარში მოთავსების ვადის ამოწურვის შემდეგ, მსხვერპლის მიმართ საფრთხის არსებობის შემთხვევაში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს შემდგომი რეაგირების უზრუნველსაყოფად. მსხვერპლის თავშესაფარში ან კრიზისულ ცენტრში მოთავსების შემთხვევაში, მას უნარჩუნდება სამუშაო ადგილი იმავე თანამდებობაზე. ასეთი თავშესაფრები ქუთაისშიც არსებობს, მაგრამ ძალადობის მსხვერპლთა უსაფრთხოებისთვის და მათი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ თავშესაფრების ტერიტორიული მდებარეობის გასაჯაროვება არ შეიძლება მოხდეს. ასევე მიმაჩნია, რომ საკითხის პრობლემატურობაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს, თავად მსხვერპლის ნაკლებ ბრძოლისუნარიაონობა ასრულებს, ხშირად ისინი არ მიმართავენ შესაბამის დაწესებულებებს დახმარებისთვის, თუმცა უკვე მომართვიანობის შემთხვევაში მიღებული დადებითი შედეგებით ისინი ყოველთვის კმაყოფილები რჩებიან, მე მინდა მივმართო ყველა ასეთ ადამინს, ვინც არის ფიზიკური შეურაცხმყოფის ან არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი, მათ აქვთ უფლება, დაიცვან თავიანთი ღირსება და პატივი, და თუ ეს ყოველივე ილახება ფიზიკური პირის მიერ, აუცილებლად უნდა მიმართონ შესაბამის ორგანიზაციებს, რომელთა შორის მათ ინტერესებს საია-ს ქუთაისის ფილიალიც დაიცავს.

ეკა შალამბერიძე

რთველი რაჭაში, რეკორდული ფასი და ყურძნის ჯიშების დაცული სისუფთავე

კახეთის შემდეგ, „რთველი 2014" რაჭაშიც წარმატებულად მიმდინარეობს — მოსახლეობას ყურძნის ჩაბარების პრობლემა არ აქვს. ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან დავითაშვილის თქმით, შარშანდელი რეკორდი წელსაც გამეორებულია — 8 ლარი 1 კილოგრამ ალექსანდროულსა და მუჯურეთულის ჯიშზე შენარჩუნებულია.

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან დავითაშვილმა და **რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო სვანეთის მხარის გუბერნატორმა, პაპუნა მარგველიძემ** 11 ოქტომბერს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში „რთველი 2014"-ის საკოორდინაციო შტაბი დაათვალიერეს და რთველის მიმდინარეობის პროცესს ადგილზე გაეცნენ.

„ჩვენ პირობას ვასრულებთ და რთველის პროცესს მაქსიმალურ მხარდაჭერას ვუცხადებთ, იმისთვის, რომ ყველა გლეხს მივცეთ მოსავლის დაბინავების საშუალება," — აღნიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.

ოთარ დანელია მხარის გუბერნატორთან ერთად სოფელ სადმელში კერესელიძეების ოჯახსაც ეწვია. კერესელიძეების ოჯახი წელს 3 ტონამდე ყურძნის ჩაბარებას აპირებს.

„ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ სახელმწიფოს მხრიდან მევენახეობა-მეღვინეობის დარგის მხარდაჭერა გრძელდება. დარგის ხელშეწყობამ და ჩვენ მიერ გატარებულმა სწორმა პოლიტიკამ განაპირობა ის, რომ მოსახლეობა ახალი ვენახების გაშენებას იწყებს. ისევე როგორც კახეთში, რაჭაში რთველი წარმატებით მიმდინარეობს. მევენახეებმა 600 ტონაზე მეტი ყურძენი უკვე ჩააბარეს. ამ ეტაპზე, დაახლოებით, 100-150 ტონა ყურძენია ჩასაბარებელი. გვინდა, აღვნიშნოთ, რომ არცერთ მევენახეს დაუბინავებელი ყურძენი არ დარჩება," — განაცხადა ოთარ დანელიამ.

ამბროლაურის რაიონის სოფელ ძირაგეულის მკვიდრი ირინა კერესელიძე რაჭაში რთველის მიმდინარეობას ნორმალურს უწოდებს. მისი თქმით, ყველაზე მთავარი ისაა, რომ გლეხს მოსავალი დაუბინავებელი არ დარჩენია:

„ჩემი ოჯახი რთველის პროცესით კმაყოფილია — ყველამ ჩააბარა ყურძენი. ხარისხის გასინჯვა მიმდინარეობდა, რომ ყურძნის ფალსიფიცირება აეცილებინათ თავიდან. ალექსანდროული და მუჯურეთული ჩაბარდა 8 ლარად, ძელშავი და ნარევები, ჩემი ინფორმაციით, 2 ლარად ჩაიბარეს. ჩემმა ძმამ, აპოლონ კერესელიძემ, ერთ ჩაბარებაზე მიიტანა ერთი ტონა და 500 კილოგრამი. ამხელა რაოდენობა მასიურად არ იყრებოდა, სათითაოდ ამოწმებდნენ, თითო მტევნის გასინჯვას კი დრო უნდოდა. ჩაბარებას რაც შეეხება, ჩვენ თვითონ მიგვქონდა ადგილზე. ფულს ბანკის საშუალებით გვიხდიან — ნაწილი უკვე ჩაგვერიცხა, დანარჩენი მალე უნდა ჩაირიცხოს. მთავარია, გლეხმა მოსავალი ჩააბაროს და კმაყოფილი დარჩეს. ჩვენ ყურძენი ჩავაბარეთ და სხვა რაღა უნდა გლეხს?" — გვითხრა ირინა კერესელიძემ.

მინისტრი საკოორდინაციო შტაბში ღვინის კომპანიების წარმომადგენლებსაც შეხვდა. ოთარ დანელია მინისტრის მოადგილესთან, იური ნოზაძესთან ერთად ბუგეულის ღვინის ქარხანაში ყურძნის ჩაბარების პროცესსაც დაესწრო და რთველის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია პირადად მევენახეებისგან მოისმინა. ოთარ დანელიამ მათ რაჭაში რთველის ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების გარანტია მისცა.

ამბროლაურში რთველის საკოორდინაციო შტაბი ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან დავითაშვილმა 5 ოქტომბერს გახსნა. აღნიშნული შტაბი რთველის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფს. შტაბის წევრები ხელს უწყობენ რაჭის რეგიონის მევენახეებს, ორგანიზებულად მოახდინონ ყურძნის რეალიზაცია.

„რაჭაში რთველი მალე დასრულდება. რამდენიმე დღეში მოსავალი სრულად დაიკრიფება. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ დაცული ყოფილიყო ყურძნის ჯიშების სისუფთავე, რაც იმის გარანტია იქნება, რომ მომხმარებელი ნამდვილი ხვანჭკარის შეძენას შეძლებს. რაც შეეხება ფასს, შარშანდელი რეკორდული ფასები წელსაც შენარჩუნდა. ალექსანდროულის და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენზე მოთხოვნა დიდია და, შესაბამისად, ფასიც მაღალია — 1 კგ-ს ფასი 8 ლარს შეადგენს," — აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ამ ეტაპზე რაჭის რეგიონში ყურძენს 14 ღვინის კომპანია იბარებს. 11 ოქტომბრის მონაცემებით რაჭაში მოკრეფილია 600 ტონაზე მეტიყურძენი (მუჯურეთული და ალექსანდროული), მოსახლეობის შემოსავლებმა 5 მლნ ლარს მიაღწია.

ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებისა და ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის მაქსიმალურად დაცვის მიზნით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები ერთობლივ ღონისძიებებს ატარებენ.

რთველის მიმდინარეობის პერიოდში, ამოქმედდა „ცხელი ხაზი": 2470101, რომელიც დაინტერესებულ პირებს 24 საათის განმავლობაში მოემსახურება. დამატებითი ინფორმაციის, კითხვებისა და კომენტარებისათვის მოსახლეობას შეუძლია მიმართოს ღვინის ეროვნულ სააგენტოს ელექტრონულ მისამართზე: rtveli2014@georgianwine.gov.ge.

„რთველი 2014" საქართველოში დასასრულს უახლოვდება. სულ ამ დროისთვის 118 291 ტონა ყურძენია დაკრეფილი, რომლის ღირებულება 164 217 596 ლარს შეადგენს. აქედან, რქაწითელის რაოდენობა 73 036 ტონაა — 74 178 080 ლარის ღირებულების; საფერავი — 40 309 ტონა, 78 847 925 ლარის ღირებულების, კახური მწვანე — 2 200 ტონა, 2 725 753 ლარის ღირებულების, ალექსანდროულ-მუჯურუთული — 700 ტონა, 5 600 000 ლარის, სხვა ჯიშები — 2 767 ტონა, 8 506 554 ლარის.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 9 თვეში (იანვარ-სექტემბერი) მსოფლიოს 39 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 42 800 528 (0,75 ლ) ბოთლი შეადგინა, რაც 62%-ით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელორუსი, სადაც რუსეთი ლიდერობს 65%-ით ექსპორტის მთლიან მოცულობაში. ღვინის ექსპორტმა რუსეთში 2014 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით, 27 937 836 ბოთლი შეადგინა. საექსპორტო ქვეყნების ათეულშია ჩინეთი, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი და აზერბაიჯანი. ღვინის ექსპორტმა თანხაში 137 104 668 აშშ დოლარი შეადგინა, რაც 64%-ით აღემატება 2013 წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ამასთან, სექტემბრის მდგომარეობით 14 ქვეყანაში ექსპორტირებულია 8 787 177 (0,5 ლ) ბოთლი ბრენდი. 2014 წლის განვლილ 9 თვეში, ბრენდის ექსპორტმა თანხაში 29 043 599 აშშ დოლარის მიაღწია, რაც 41%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტიორ ქვეყნებში კვლავ ლიდერობს უკრაინა, სადაც იანვარ-სექტემბრის მდგომარეობით ექსპორტმა — 4 281 222 ბოთლი შეადგინა, მეორე ადგილს 3 976 884 ბოთლით რუსეთი იკავებს.

ყვირის ჰოროსკოპი

ვერძი: ცხოვრების დამატებითი სახსრების მოძიებისთვის აქტიური საქმიანობა შედეგს არ მოიტანს. საღამოობით გათავისუფლდებით საზრუნავისგან, იჭორავებთ ტელეფონზე ან შეხვდებით ნათესავებს.

კურო: ელოდეთ სიურპრიზებს. ახლობლები დაგეხმარებიან ახალი სამსახურის დაწყებაში. ყურადღებით იყავით წამლებთან, არ გადააჭარბოთ დოზას.

ტყუპები: მაქსიმალურად მოახდენთ საკუთარი ინტელექტუალური უნარის რეალიზებას. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა, მოსალოდნელია წარმატებები, როგორც სასიყვარულო საქმეებში, ისე კარიერაშიც.

კირჩხიბი: მაღალი ენერგეტიკული პოტენციალი აქტიური საქმიანობისაკენ გიბიძგებთ. თქვენ მთელ სამყაროს ვარდისფერ ფერებში დაინახავთ და საკუთარ გზაზე ვერცერთ დაბრკოლებას ვერ შეამჩნევთ.

ლომი: ოჯახის წევრებს შორის მომრიგებლის როლს მშვენივრად ართმევთ თავს. თუმცა, ამან თქვენი პირადი გეგმები შეიძლება შეცვალოს კიდეც.

ქალწული: თქვენი პარტნიორების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მოექცევით. ისინი შეეცდებიან, კონფლიქტში ჩაგითრიონ. უმჯობესია, რომ მათ არ აჰყვეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სამსახურიდან დაგითხოვონ.

სასწორი: საინტერესო, ძლიერ მამაკაცთან შეხვედრა გელით, რომელიც თქვენს პირად ცხოვრებაში ცვლილებებს შეიტანს. ნუ იქნებით ინერტული, იაქტიურეთ სასურველი მიზნის მისაღწევად. გარკვეული პერიოდის შემდეგ დარწმუნდებით, რომ სწორად მოიქეცით. ნუ მისცემთ მეგობრებს საბაბს, რომ გაგაკრიტიკონ.

მორიელი: გამოიჩინეთ მოთმინება, სიფრთხილე გმართებთ კოლეგებთან ურთიერთობისას. სასიყვარულო ურთიერთობებში ნუ აჩქარდებით. თითოეული ნაბიჯი კარგად გაიაზრეთ და შემდეგ გადადგით. ერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს.

მშვილდოსანი: ნუ დაკარგავთ დროს ურთიერთობების გარკვევაზე. ეცადეთ, იყოთ დამთმობი — სიჯიუტემ შეიძლება, საყვარელი ადამიანი დაგაკარგვინოთ.

თხის რქა: თქვენი შემოქმედებითი წარმოსახვა შექმნის თვალსაჩინო, დაუვიწყარ სახეებს. ამ მიზნით შეგიძლიათ ეწვიოთ მეგობრებს, ნათესავებს, ბავშვის რეპეტიტორს ან მწვრთნელს.

მერწყული: საქმეები ლამის მთელ კვირას წაგართმევთ. თუმცა ცოტა დასვენებასაც მოახერხებთ. ბავშვების პრობლემებს უთუოდ მოაგვარებთ.

თევზები: სამსახურში წარმატებას მიაღწევთ. ახლა, საერთოდაც, წინსვლისა და წარმატების პერიოდი გიდგათ, რითაც მაქსიმალურად უნდა ისარგებლოთ. შემოსავალს ელოდეთ.

„კატასტროფა გარდაუვალია, თუ 60 დღეში არ მოხერხდა ებოლას დამარცხება“

რა არის ებოლას ვირუსი?

ებოლა წარმოადგენს ჰემორაგიულ ცხელებას. ის იშვიათი დაავადებაა, თუმცა ხასიათდება მაღალი სიკვდილიანობით (დაავადებულთა 90%-ზე მეტი დაიღუპა). ვირუსით ავადდებიან ადამიანები, ზოგიერთი პრიმატები და წყვილჩლიქოსნები.

მისი მკურნალობის მეთოდი და ვაქცინა არ არსებობს. დასავლეთ აფრიკაში ეპიდემიის დაწყებისთანავე აშშ-მა კანადურ ფარმაცევტულ კომპანიას ებოლას ცხელების ვაქცინის ადამიანზე შეზღუდული გამოცდის უფლება მისცა.

ამერიკის ხელისუფლების დაფინანსებით შექმნილი ვაქცინა უკვე წარმატებით გამოცადეს მაიმუნებზე.

პირველად ვირუსი დაფიქსირდა 1976 წელს ეკვატორულ სუდანსა და ზაირში. სუდანში დაინფიცირებული 284 ადამიანიდან დაიღუპა 151, ზაირში კი 318 დაავადებულიდან 280 გარდაიცვალა. ვირუსის პირველი იდენტიფიცირება მოხდა ზაირში მდინარე ებოლას ხეობაში, საიდანაც გაჩნდა ვირუსის სახელწოდება.

ვირუსი ვრცელდება ლორწოვანი გარსით და კანის მიკროდაზიანებებით. კანადელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტებით დაადასტურეს, რომ ვირუსი შესაძლებელია კონტაქტის გარეშეც გადაეცეს.

დაკრძალვის რიტუალები, რომლის დროსაც ჭირისუფლებს აქვთ კონტაქტი დაღუპულის სხეულთან, ვირუსის გავრცელების ერთ-ერთი წყაროა. დაღუპულის ორგანიზმიდან ვირუსი 3 კვირის განმავლობაში გამოიყოფა.

დაფიქსირებულია ვირუსის გავრცელება გორილებიდან, შიმპანზეებიდან და დუკერებიდან (აფრიკული წყვილჩლიქოსანი ცხოველი). ვირუსის გავრცელების ბუნებრივ არეალად ითვლება ეკვატორული აფრიკის ჯუნგლები.

ვირუსის საინკუბაციო პერიოდი 2-დან 21 დღემდე გრძელდება.

დაავადების განსხვავებული სიმძიმე და სიკვდილიანობის განსხვავებული სტატისტიკა გამოწვეულია ვირუსის სხვადასხვა შტამებით (ქვესახეობებით). ებოლას ვირუსი იყოფა 5 ქვესახეობად: სუდანის, ზაირის, ტაის ტყის (კოტ-დივუარის), რესტონის და ბუნდიბუგიოს. ადამიანისათვის საშიშია 4 ქვესახეობა. ებოლას რესტონული ვირუსით დაავადება უსიმპტომოდ მიმდინარეობს. ტაის ტყის და რესტონის ებოლას ვირუსები შედარებით იშვიათია.

დაავადების სიმპტომებია თავის, კუნთებისა და მუცლის ძლიერი ტკივილები, დიარეა და ანგინა. მოგვიანებით ჩნდება მშრალი ხველება, მჩხვლეტავი ტკივილები მკერდში და დეჰიდრატაცია. ვირუსი იწვევს სისხლის შემადგენლობის შეცვლას — იწყება ანემია, ლეიკოციტებისა და ტრომბოციტების მკვეთრი შემცირება. შედეგად იშლება სისხლის შედედების ფუნქცია, ზიანდება სასხლძარღვები და იწყება სისხლდენები. სიკვდილი დგება დაავადების მეორე კვირას სისხლდენებისა და შოკის შედეგად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ებოლას კოორდინატორი ენტონი ბენბური აცხადებს: „60 დღეში თუ არ მოხერხდა ებოლას დამარცხება, კატასტროფა გარდაუვალია და ეს იქნება უპრეცედენტო სიტუაცია და ჩვენ არ გვაქვს სამოქმედო გეგმა.“

ბენბურის განცხადებით, დასავლეთ აფრიკაში 9000 შემთხვევაა დაფიქსირებული, საიდანაც 70% ფატალური შედეგით დამთავრდა.

ებოლას 60 დღეში შესაჩერებლად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და WHO (WORLD HEALTH ORGANISATION) მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ შემდეგი სამოქმედო გეგმა წარმოადგინა:

ინფიცირებულების მინიმუმ 70% უნდა იყვნენ გადაყვანილი სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში.

ებოლათი გარდაცვლილების მინიმუმ 70% უნდა დაიკრძალოს ისე, რომ არ მოხდეს სხვების შემდგომი ინფიცირება.

აუცილებელია ვირუსის წყაროების ინდენტიფიცირება და სწრაფი რეაგირება.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია აცხადებს, რომ, თუ ვირუსის გავრცელების ტემპი არ შემცირდა, კვირაში 5-დან 10 ათასამდე ახალ დაავადებულს მივიღებთ.

ნიგერიაში, რომელიც ძალიან ახლოს არის დაავადების ეპიცენტრთან, მხოლოდ 9 სიკვდილის ფაქტია დაფიქსირებული. ეს განაპირობა იმან, რომ ქვეყანაში ვირუსის გამოჩენიდან პირველივე დღეს აქტიურად ვრცელდება საინფორმაციო ბანერები, თუ როგორ უნდა დაიცვას ადამიანმა თავი ინფიცირებისაგან. აქ ქუჩაში გადაფურთხებაც კი კანონით ისჯება.

უფასო განცხადებები

იყიდება

- 50 მ² არასტანდარტული ერთოთახიანი ბინა (34 მ² ოთახი+16მ² სამზარეულო-სააბაზანო), ქუთაისის ცენტრში, საუკეთესო ხედით, სარემონტო. ფასი შეთანხმებით.

ტელ.: **(0 431) 24 40 66**

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S.“-ში („პოსტსკრიპტუმში“)

უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე

კუპონი უნდა ჩაბარდეს

რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;

სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში“(ყოფილი „პოპული“) - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“, რუსთაველის 141.

არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.

განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

უძრავი ქონება
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

ავტო-მოტო
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

სამსახური
☐ ვეძებ სამუშაოს

სხვადასხვა
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

განცხადების შინაარსი

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ **არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე**

☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმონერა გარკვევით

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

20.10.2014

ვინ არის ფოტოზე?

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

მსახიობ **გურანდა გაბუნიას** ამოცნობა მხოლოდ **სულიკო ფუტკარაძემ** შეძლო.

რას დაარქმევდით?

ქუთაისის მერი შოთა მურღულია

დაგვიკავშირდით:

- **(0 431) 24-45-46, 24-82-25.**
- **psnews27@gmail.com**

პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე

ბაჩო ახალაია

ევროპარლამენტი: „ახალაია, ს ვეშჩამი!“

შაქრო გაბელაშვილი

კროსვორდი

ჰორიზონტალურად:
3. ქვეყანა აფრიკაში ... ფასო; 5. „მე, ბებია, ... და ილარიონი“; 6. მეორე პირის ნაცვალსახელი; 8. აწჩხლი, კაპასი; 9. მომღერალი ... კალასი; 11. მოცარტის სამშობლო.

ვერტიკალურად:
1. იგავ ...; 2. კომში; 3. მისი დედაქალაქია ლა-პასი; 4. კოლუმბიის აღმოჩენა; 7. ბოსტნის მავნებელი მწერი (ბოსტანა); 10. მე-14 ბერძნული ასო.



წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ჰორიზონტალურად:
3. ჯიხაიში; 5. გნოლი; 6. სკა; 8. უთო; 9. მარსი; 11. ნესკაფე.

ვერტიკალურად:
1. თხილი; 2. რიო; 3. ჯონათან; 4. იოკასტე; 7. მარაო; 10. ასი.

აღმოსავლური ტესტი

სად იმალება თქვენი სიმდიდრის საიდუმლო?

გსურთ გაიგოთ, რა გზებით შეიძლება სიმდიდრე მოვიდეს თქვენთან? ძველი ჩინური ტესტი გვასწავლის, როგორ მივაღწიოთ წარმატებას და გავიუმჯობესოთ ფინანსები. დააკვირდით ყურადღებით სურათს. არ იჩქაროთ, მაგრამ არც ძალიან დიდხანს იფიქროთ, აირჩიეთ სიმდიდრის ერთ-ერთი თილისმა — 16-დან ერთი და წაიკითხეთ შედეგები.

1. თქვენი გზა სიმდიდრისკენ იმ პროფესიაზე გადის, რომელსაც შეუძლია გაგხადოთ ცნობილი და სახელგანთქმული. იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ, აუცილებელია მუდამ იზრუნოთ საკუთარ გარეგნობაზე და დაიხვეწოთ გემოვნება. შესაძლოა, ჟურნალისტიკამ, სილამაზის სალონმა, სამკაულებით, ტანსაცმლით ვაჭრობამ გაშოვნინოთ ფული.

2. გამდიდრებაში თქვენ მხოლოდ საკუთარი თავი დაგეხმარებათ, კერძოდ კი, თქვენი იდეები, განსჯის უნარი და ლოგიკა. თქვენ უნარი შეგწევთ, მოიფიქროთ ახალი სისტემა ან წარმატებით „შეაკეთოთ" ძველი. თქვენი გონება რაციონალურია. ამიტომაც კარგი იქნება, თუ ფინანსურ, იურიდიულ ან სამეცნიერო სფეროში მოსინჯავთ ძალებს. საღად და თავისუფლად აზროვნება შეგიძლიათ. ნუ მოგერიდებათ საკუთარი თავის წარმოჩენის.

3. თქვენი სიმდიდრის გასაღები რწმენაშია, ღრმასა და ძლიერში. უნდა გჯეროდეთ საკუთარი ძალების, იმის, რასაც აკეთებთ და გარშემომყოფებიც დააჯეროთ ამაში. თქვენთვის იდეალური სამუშაოა ის, რომელიც ადამიანების დახმარებისკენ არის მიმართული, მაგალითად: ექიმი, პედაგოგი, მღვდელი.

4. სიმდიდრისკენ მიმავალი თქვენი გზა კოლექტიურ სამუშაოშია. მნიშვნელობა არ აქვს, ოფისში იმუშავებთ, სახლში თუ საკუთარი ბიზნესის მმართველი იქნებით, ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია, რომ გვერდით გყავდეთ საიმედო ადამიანი, მეუღლე, ბავშვობის მეგობარი ან, უბრალოდ, ის ადამიანი, ვინც მხარს უჭერს თქვენს იდეებს და მათ განხორციელებაში სიამოვნებით გეხმარებათ.

5. სიმდიდრისკენ თქვენი გზა სახლის სიმყუდროვეზე გადის. ამაში შედის — სხვადასხვა კერძის მომზადება, სამზარეულოს ტექნიკა და სახლის რემონტი. შეგიძლიათ იყოთ მაღაზიის ან კაფეს მეპატრონე, ივაჭროთ ბაღის ინვენტარებით ან მცენარეებით.

6. სიმდიდრეს და კეთილდღეობას მხოლოდ აქტიური ქმედებით მიაღწევთ. თქვენთვის ყოველთვის აქტუალური იქნება სიტყვები „მოძრაობაა — სიცოცხლე". თქვენი პროფესია მოგზაურობებსა და მივლინებებს უნდა მოიცავდეს ან სპორტის რომელიმე სახეობას. თუ ასეთი სამსახური არ გაქვთ, ჰობი მაინც უნდა გქონდეთ მსგავსი. იმოქმედეთ!

7. სიხარბე — ეს არის თქვენი სიმდიდრის გასაღები. თუმცა ცუდად ნუ გაიგებთ. ეს ცხოვრებაზე, ამქვეყნიურ სიამოვნებებსა და გართობაზე დახარბებაა. კარგი იქნება, თუ საქმედ გაიხდით რომელიმე გასართობ სფეროს. სამსახური და ყოველდღიური ყოფა სიამოვნებასა და სიხარულს უნდა განიჭებდეთ იმისათვის, რომ წარმატებას მიაღწიოთ.

8. სიმდიდრისკენ მიმავალი გზა თქვენთვის დღესასწაულებზე გადის. კარგად გამოგდით საბავშვო ზეიმების მოწყობა, ფოტოგრაფობა, დღესასწაულების ორგანიზება და მუსიკოსობა. ასევე, თქვენგან კარგი მხატვარი-გამფორმებელი, დიზაინერი ან ფლორისტი გამოვიდოდა. შესანიშნავად გაართმევდით თავს ტურისტული აგენტის მოვალეობებსაც. თქვენთვის აუცილებელია მოვლენებით დატვირთული ცხოვრება, სხვანაირად წინ ვერ წაიწევით.

9. თქვენი ფინანსური წარმატების გარანტი გრძნობებია, უფრო სწორად, თქვენი უნარი, გესმოდეთ ირგვლივ მყოფების. კარგი ფსიქოლოგი გამოხვიდოდით, თუ ხელს არ შეგიშლით გადაჭარბებული ემოციურობა. ასევე, იდეალური იქნებოდა ნებისმიერი შემოქმედებითი სამუშაო, საუკეთესოდ შეგიძლიათ გადმოსცეთ საკუთარი შეგრძნებები.

10. სიმდიდრეს მკაცრი ხასიათი მოგახვეჭინებთ. თქვენ თვლით, რომ შექება ადამიანებს ათამამებს და აზარმაცებს. თუმცა ამ სიმკაცრის მიღმა მაინც თბილი გული იმალება. ასეთი ხასიათით თქვენ სამართალდამცავ ორგანოებში მიაღწევთ წარმატებას; ნებისმიერ იმ სფეროში, სადაც კრიტიკა განმსაზღვრელ როლს თამაშობს.

11. სიმდიდრისკენ თქვენი გზა საკუთარ ბიზნესზე გადის. კარგი იქნება, თუ ეს ბიზნესი მშენებლობასთან იქნება კავშირში. თქვენთვის მნიშვნელოვანია, შექმნათ ისეთი რამ, რაც ადამიანებს არაერთი წელი ემსახურება. საკმაოდ სერიოზული და პასუხისმგებლობის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი ხართ. შეგიძლიათ საკუთარი შეცდომების აღიარება და მათზე სწავლა. კარგი მასწავლებელი ხართ მათთვის, ვინც უმცროსია ან თქვენზე გამოუცდელი.

12. სიმდიდრესა და ფინანსურ წარმატებას ის საქმე მოგიტანთ, რაც ლითონს ეხება. ეს შეიძლება იყოს მანქანათმშენებლობა, ავიაცია ან რკინიგზა. ძალიან თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანი ხართ და სისწრაფე თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ასევე საიმედოობა. თუ მოგეჩვენათ, რომ ძალიან გადაიღალეთ ამ სირბილში, აუცილებლად ამოისუნთქეთ.

13. იმისათვის, რომ ფინანსურად გაძლიერდეთ, აუცილებლად უნდა გასცეთ სითბო და სიყვარული. მნიშვნელოვანი მომენტია: არ უნდა მიაქციოთ ყურადღება წვრილმანებს, ამას სხვები მიხედავენ. თქვენი ამოცანაა — გასცეთ იდეები, ჩაუყაროთ საქმეს მყარი საფუძველი.

14. სიმდიდრისკენ თქვენივე იუმორის გრძნობა მიგიყვანთ. თქვენ შეგიძლიათ ის ნებისმიერ სფეროში გამოავლინოთ. რა თქმა უნდა, ეს თვისება დამკრძალავ ბიუროში მუშაობისას არ გამოგადგებათ, მაგრამ დანარჩენი, ყველა სფეროში შეუცვლელი იქნება. თქვენი ენამახვილობა კარიერაში წინსვლაში დაგეხმარებათ. მთავარია, რომ იუმორი შავი არ იყოს.

15. ნებისმიერი პროფესია, რომელიც სისუფთავეს, თუნდაც სტერილურობას უკავშირდება, თქვენია. თქვენთვის წარმატებული იქნება ექიმის ან მეცნიერის კარიერა. ცხოვრებაშიც აზრები სუფთად შეინახეთ, იყავით კეთილსინდისიერი ადამიანი და მიზანს დაბრკოლების გარეშე მიაღწევთ. თქვენთვის ტყუილი და ღალატი დამღუპველია, რადგან ყველაფერი ბუმერანგივით უკან მოგიბრუნდებათ.

16. თქვენი სიმდიდრის გასაღები — ცხრა ზღვასა და ცხრა მთას იქით, შორეულ ქვეყანაში იმალება. კარგი იქნება, თუ თქვენი საქმე ან ჰობი წყალთან იქნება კავშირში. რა თქმა უნდა, აუცილებელი არ არის, მეთევზე ან სანტექნიკოსი იყოთ. შეგიძლიათ მოაშენოთ აკვარიუმის თევზები და აქაც კი სარგებელი იპოვოთ.

marao.ge

მილოცვა

მამუკა ხათრიძესა და ქეთი თუთბერიძეს — პირველი შვილის, **ნატო და ავთო ხათრიძეებს** კი — პირველი შვილიშვილის ამქვეყნად მოვლინებას ვულოცავთ!

ღვთის წყალობა არ მოკლებოდეს, ჯანმრთელი და სასახელო ქალბატონი გაზრდილიყოს პატარა **ანასტასია**!

გაზეთ „P.S."-ის რედაქცია

სტილის 10 გაკვეთილი ჯორჯო არმანისგან

1. იყო ელეგანტური, იმას კი არ ნიშნავს, იყო თვალშისაცემი, არამედ ნიშნავს, იყო დასამახსოვრებელი;

2. მოდასა და სტილს შორის სხვაობა ხარისხშია;

3. იაფი ფეხსაცმელი — მცდარი ეკონომიაა. ნუ დაზოგავთ მთავარზე: ფეხსაცმელი — თქვენი გარდერობის საფუძველია;

4. გამოიყურებოდე სექსუალურად ნიშნავს, იყო საკუთარ თავში დარწმუნებული. ეს გახლავთ ერთდროულად გონებისა და სხეულის მდგომარეობა;

5. მიხარია, რომ ჩვენს დროშიც გაჩნდა იმის მოთხოვნილება, იყო ელეგანტური. ელეგანტურობა არის გარეგნობის გასაღები, რომელიც არ ემორჩილება დროს, ის არასოდეს გადადის მოდიდან. ჩემს წარმატებასაც ამ ფილოსოფიით ვხსნი. ჩემთვის სტილი ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე მოკლევადიანი მოდური ტენდენციები;

6. არ ღირს ზედმეტი დროის დახარჯვა სამოსის არჩევისას: ყველაზე გემოვნებიანი ადამიანები ისე გამოიყურებიან, თითქოს არანაირი ძალისხმევა არ დაუხარჯავთ საკუთარი გარეგნობისთვის. საბოლოო ჯამში, სტილი თვითგამოხატვამდე მიდის და ვფიქრობ, რომ არაფერს შეუძლია დააუშნოვოს ადამიანი, რომელიც გულწრფელია საკუთარ თავთან;

7. შავი და მუქი ნაცრისფერი ყველა ფერზე მეტად ათხელებს სხეულს. თუ ამ ფერებს გამოიყენებთ, შეძლებთ ჩაატაროთ ექსპერიმენტები ფორმებითა და ტექსტურით;

8. ჩვენს დროში აქსესუარების მნიშვნელობამ საგრძნობლად იმატა. ასე რომ, გადადეთ ფული ფეხსაცმელებისთვის, ქამრებისთვის, ჩანთებისთვის, ჰალსტუხებისა და სხვა აქსესუარებისთვის. ასე თქვენ შეძლებთ გაამრავალფეროვნოთ გარდერობი ყოველდღიურად. ყურადღება მიაქციეთ იმ ფერებს, რომლებსაც ხშირად იყენებთ და შეიძინეთ შესაბამისი აქსესუარები. ამასთან, დაიმახსოვრეთ, რომ რუხ ფერთან შეგიძლიათ ატაროთ შავიც და ყავისფერიც. საათი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთია, რომელიც უნდა მოიპოვებოდეს თქვენს აქსესუარებში. მას ბევრის თქმა შეუძლია ადამიანის შესახებ.

9. აირჩიეთ ნეიტრალური ფერის ქსოვილები, მკვეთრი ორნამენტების გარეშე — მოდის თვალსაზრისით, ისინი ბევრად დიდხანს გემსახურებიან;

10. გულდასმით შერჩეული არომატი, შესაძლოა, თქვენი დამახასიათებელი ნიშანი გახდეს. ეს არის პირველი, რასაც ადამიანები გრძნობენ, როცა მათ ოთახში შედიხართ და უკანასკნელი — რაც ქრება, როცა იმ ოთახიდან გადიხართ.

marao.ge

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

• ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
• კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
• მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
• სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
• ენციკლოპედიები;
• ლექსიკონები;
• ჟურნალ-გაზეთები

წიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფუდმარტი" (ყოფილი „პოპული"), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი".
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474

პრესკონფერენციები, ბრიფინგები, პრეზენტაციები

PSPRESS-კლუბი



ქუთაისი, რუსთაველის 37ა (პრესის სახლი). 599 10 77 94